საქართველო გლობალური დემოგრაფიული პროცესების კონტექსტში

გიორგი მელაძე

ელ.ფოსტა: giorgi.meladze@tsu.ge;
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

დემოგრაფიული პროცესების განვითარების თვალსაზრისით XXI საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში, არნახული და რიგ შემთხვევებში ძნელად პროგნოზირებადი იქნება. მიმდინარე და მოსალოდნელ დემოგრაფიულ მოვლენებს არ გააჩნიათ საზღვრები, ისინი შეუქცევადნი არიან და პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანას მოიცავენ.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დასავლეთ ევროპაში (უმთავრესად სკანდინავიის ქვეყნები), შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ვეღარ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას (ნაკლები იყო 2.1-ზე). აღნიშნული პროცესის გლობალური მასშტაბებიდან გამომდინარე, შემდგომ ათწლეულებში მისი გეოგრაფია გაფართოვდა და პრაქტიულად მთელი განვითარებული სამყარო მოიცვა. გლობალური მასშტაბით შობადობის კლების მრავალ მიზეზთა შორის, უმნიშვნელოვანესია მოკვდაობის დონის მკვეთრი შემცირება, ოჯახის როლის ცვლილება საზოგადოებაში და მშობლების ფასეულობათა სისტემაში ბავშვების როლის დევალვირება.

მესამე ათასწლეულის მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მოვლენა იქნება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის საყოველთაო მატების შედეგად განპირობებული, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი. მიმდინარე საუკუნე გამორჩეული იქნება არნახული მიგრაციული პროცესებით, რომელთა მასშტაბებმა შესაძლებელია ცალკეული ქვეყნების ასაკობრივ-სქესობრივი და ეროვნული სტრუქტურების ცვლილება გამოიწვიონ. აღნიშნულ მოვლენას შეუძლია მკვეთრად შეცვალოს ცალკეული ქვეყნების ურთიერთობები, მსოფლიოს ეკონომიკური და გეოპოლიტიკური სისტემები. გამორიცხული არ არის საერთაშორისო კონფლიქტები.

თანამედროვე საქართველოში არსებულ უამრავ პრობლემათა შორის, უმთავრესია დემოგრაფიული და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელთა დარეგულირების გარეშე შეუძლებელია თვით ქვეყნის არსებობა.

უკანასკნელ წლებში ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, დემოგრაფიული ვითარების გამწვავებასა და მის კრიზისულ მდგომარეობას 1990-იანი წლებიდან დაწყებული ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით ხსნიან. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა, დაფუძნებულია დემოგრაფიული პროცესების ზედაპირულ ცოდნაზე და მოვლენების არასრულფასოვან შეფასებებზე. საგულისხმო ფაქტია, რომ თუკი საუბარი შეეხება მხოლოდ 1990-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისზე დემოგრაფიული სისტემის ლოგიკურ რეაქციას, ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორების შემდგომ, დემოგრაფიული სისტემა მეტნაკლებად დაიბრუნებს თავის დაკარგულ წონასწორობას. მაგრამ ამჟამად არსებული დემოგრაფიული პროცესების წარმოშობას, გაცილებით ღრმა ფესვები გააჩნიათ, რომელთა სათავეებიც წარსულში უნდა ვერძიოთ. ისინი დეტერმინირებულია გლობალური, სისტემური ხასიათის ცვლილებებით, რომელთაც ცალკეულ ქვეყანაზე განსხვავებული ზეგავლენა გააჩნიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე დღესდღეობით მდგომარეობის თვითგამოსწორების ოპტიმიზმის საფუძველი პრაქტიკულად არ არსებობს.

საქართველოში არსებული ვითარების დარეგულირებისათვის, ერთ-ერთი გამოსავალია სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და გატარება.